ბავშვებისა და მოზარდების კურსების წესები და პირობები

რეგისტრაციისა და კურსების პირობები

რეგისტრაცია მიმდინარეობს რიგითობის მიხედვით. რეკომენდირებულ კურსზე თქვენი ადგილი გარანტირებულია ჯგუფში თავისუფალი ადგილების მიხედვით, ჯავშნის საფასურის და კურსის ღირებულების სრული ან ნაწილობრივი გადახდის შემდგომ. გათვალისწინეთ, რომ ადგილები შეზღუდულია.

ჯგუფში მოსწავლეთა მაქსიმალური რაოდენობა არის:

კლასებისთვის, რომლებიც ტარდება პირისპირ რეჟიმში:

- 12-16 - 11 წლიდან 18 წლამდე მოსწავლეებისთვის. დამოკდებულია ოთახის მოცულობაზე.
- 12 - 6 წლიდან 10 წლამდე მოსწავლეებისთვის.

ონლაინ კურსებისთვის:

- 12 - ბავშებისა და მოზარდების ყველა კურსისთვის, მიუხედავად მათი ასაკის/დონის.

** სტუდენტს ასაკობრივი ჯგუფი განესაზღვრება აკადემიური წლის დასაწყისში.*

ჩვენ ვიტოვებთ უფლებას შევცვალოთ საკლასო ოთახებში სტუდენტების მაქსიმალური რაოდენობა ადგილობრივი ან რეგიონალური რეგულაციების შესაბამისად, ან სხვა განსაკუთრებული გარემოებების გამო.

ჩვენ ვიტოვებთ უფლებას შევცვალოთ კურსის განრიგი ფორსმაჟორული სიტუაციების გათვალისწინებით. ასევე, ვიტოვებთ უფლებას, რომ ადგილობრივი ან რეგიონალური რეგულაციების გათვალისწინებით აუდიტორიული მეცადინეობები გადავიტანოთ ონლაინ რეჟიმში.

იმ შემთხვევაში თუ მოსწავლეები გააცდენენ მეცადინეობას, მათ არ ჩაუტარდებათ დამატებითი გაკვეთილი. ასევე, სტუდენტებს არ აქვთ შესაძლებლობა მოითხოვონ გაცდენილი მეცადინეობების ღირებულების ანაზღაურება.

ბრიტანეთის საბჭო განახორციელებს სასწავლო აქტივობებს, რომლებიც შესაძლოა მოიცავდნენ:

- პირადი ინფორმაციის (მოსწავლის გამოსახულების და ხმის) გაზიარებას ბრიტანეთის საბჭოს Learning Hub-ის ონლაინ მეცადინეობის პირდაპირ რეჟიმში ტრანსლაციის დროს;
- მოსწავლის აუდიო და ვიდეო ჩანაწერის გამოყენებას აკადემიური მხარდაჭერის მიზნით;
- მოსწავლის ნამუშევრების (დოკუმენტების, ფოტოსურათების ან ჩანაწერების) გაზიარებას გაკვეთილზე, ბრიტანეთის საბჭოს სასწავლო ქსელის აქტივობების ფარგლებში;
- Learning Hub-ის გამოყენებას;

(პირადი ინფორმაცია, რომელიც შეგროვებული და გამოყენებული იქნება ბრიტანეთის საბჭოს ზემოხსენებული შემეცნებითი აქტივობების ფარგლებში, შეინახება იმ კურსის დასრულებამდე, რომელზეც დარეგისტრირებულია მოსწავლე)

თანხის დაბრუნების და კრედიტად გადატანის პოლიტიკა

ბრიტანეთის საბჭო აბრუნებს გადახდილ თანხას ან გადააქვს ან მომდევნო კურსისთვის გამონაკლის შემთხვევებში შემდეგი პირობებით:

თანხა ანაზღაურდება ან კრედიტად გადავა, თუ:

1. თქვენ დაგიფიქსირდათ COVID-19 ან ხართ კარანტინში და გსურთ კურსის გაუქმება. **(ასეთ შემთხვევაში, დაბრუნებული თანხა ექვემდებარება ადმინისტრაციულ ჩამოჭრას 40 ლარის ოდენობით).**
2. თქვენ დაგიფიქსირდათ COVID-19 ან ხართ კარანტინში და მოითხოვეთ გაცდენილი გაკვეთილების ანაზღაურება - გამოჯანმრთელებისას კი დაბრუნდებით. **(ასეთ შემთხვევაში, დაბრუნებული თანხა ექვემდებარება ადმინისტრაციულ ჩამოჭრას 40 ლარის ოდენობით).**
3. სასწავლო ცენტრი იძულებულია დაიკეტოს და კლასები გადადის ვირტუალურ რეჟიმზე, თუმცა არ გსურთ ან არ შეგიძლიათ ისწავლოთ ვირტუალურ რეჟიმში. **(ასეთ შემთხვევაში, დაბრუნებული თანხა ექვემდებარება ადმინისტრაციულ ჩამოჭრას 40 ლარის ოდენობით).**
4. ჩვენ გავაუქმეთ თქვენი კურსი და ვერ შემოგთავაზეთ თქვენთვის მისაღები ალტერნატივა.
5. თქვენ აუქმებთ კურსს (ნებისმიერი მიზეზით) პირველ გაკვეთილამდე მინიმუმ 48 საათით ადრე **(ასეთ შემთხვევაში, დაბრუნებული თანხა ექვემდებარება ადმინისტრაციულ ჩამოჭრას 40 ლარის ოდენობით).**

6. თქვენ მოგიწიათ კურსი გაუქმება დაწყებიდან ორი კვირის განმავლობაში ჯანმრთელობის მდგომარეობიდან ან გადაუდებელი სამსახურეობრივი ვალდებულებიდან გამომდინარე (სასწრაფო გამგზავრების საჭიროება). ორივე შემთხვევაში, აუცილებელია დამატებითი დოკუმენტების (სამედიცინო ცნობის ან დამსაქმებლის წერილის) წარდგენა **(ასეთ შემთხვევაში, დაბრუნებული თანხა ექვემდებარება ადმინისტრაციულ ჩამოჭრას 40 ლარის ოდენობით).**
7. **გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ ბრიტანეთის საბჭო არ ახორციელებს გადარიცხვას დიდი ბრიტანეთის ან სხვა შესაბამისი იურისდიქციის მიერ სანქცირებულ ბანკებში. თუ თქვენ მოითხოვთ თანხის ანაზღაურებას სანქცირებულ საბანკო ანგარიშზე, აუცილებელი იქნება გადახდის ალტერნატიული ფორმის დასახელება, რომელიც არ დაარღვევს ზემოხსენებულ შეზღუდვას.**

სტუდენტის მიერ გადახდილი თანხის გადატანა მომდევნო კურსისთვის შესაძლებელი იქნება თუ:

8. თქვენ აუქმებთ კურსს (ნებისმიერი მიზეზით) კურსის დაწყებიდან ორი კვირის განმავლობაში.

მე-5, მე-6 და მე-8 სიტუაციებში, ასანაზღაურებელი/შემდეგი სემესტრისთვის გადასატანი თანხის ოდენობა განისაზღვრება კურსის სრული საფასურიდან იმ გაკვეთილების რაოდენობის პროპორციულად, რომლებსაც დაესწარით, ან შეგეძლოთ, დასწრებოდით (იქიდან გამომდინარე, რომ კლასში დარეგისტრირების მომენტიდან კურსის გაუქმების მომენტამდე თქვენი ადგილი ჯგუფში იყო დაკავებული და ხელმიუწვდომელი სხვა მსურველებისთვის).

გადატანილი თანხა მოქმედია მხოლოდ მომდევნო ორი სემესტრის განმავლობაში.

გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ ჯავშნის საფასური - 100 ლარი არ ანაზღაურდება.

თანხის დაბრუნების/გადატანის პროცესი:

a) შეავსეთ "თანხის დაბრუნების/გადატანის მოთხოვნის ფორმა".
b) ბრიტანეთის საბჭო დაგიკავშირდებათ იმ შემთხვევაში, თუ საჭირო იქნება დამატებითი დეტალების გარკვევა მოთხოვნის ფორმასთან დაკავშირებით.
c) თანხის დაგიბრუნდებათ ნაღდი ანგარიშსწორებით ან საბანკო გადარიცხვის გზით (თუ გამოგვიგზავნით თქვენს საბანკო რეკვიზიტებს). მოთხოვნის დაკმაყოფილების ან უარყოფის შესახებ ინფორმაციას მიიღებთ 15 სამუშაო

დღის განმავლობაში. მომდევნო ფინანსური პროცესების ხანგრძლივობაზე ბრიტანეთის საბჭოს სასწავლო ცენტრი პასუხისმგებელი არ არის.

COVID-19-ის შემდგომი საჭიროებებიდან გამომდინარე საკარანტინო ზომების შემთხვევაში - სასწავლო ცენტრის დახურვის აუცილებლობის შემთხვევაში - მთავრობის მანდატის ფარგლებში, სასწავლო დაწესებულების მმართველობა იტოვებს უფლებას, გადაიყვანოს ყველა სერვისი ონლაინ/ ვირტუალურ რეჟიმზე მანამდე, სანამ არ მოიხსნება საკარანტინო ზომები. ზემოთ ხსენებულ პერიოდში სერვისები მოწოდებული იქნება შესაბამისად.

ბავშვთა დაცვის პოლიტიკა / მშობელთა და მეურვეთა მოვალეობები

ჩვენ გვჯერა, რომ გვაკისრია პასუხისმგებლობა ჩვენს კურსებზე დარეგისტრირებული ბავშვების მიმართ და ვართ ვალდებულნი, რომ დავიცვათ ისინი ნებისმიერი სახის ჩაგვრისგან. ჩვენი მიზანია, აღნიშნული პასუხისმგებლობა შევასრულოთ დიდი ბრიტანეთის გაერთიანებული სამეფოსა და იმ ქვეყნების ბავშვთა დაცვის კანონების შესაბამისად, სადაც ვმუშაობთ. ასევე, გაერთიანებული ერების კონვენციის, ბავშვთა უფლებების დაცვის 1989 წლის დადგენილების მიხედვით.

ჩვენი ბავშთა დაცვის პოლიტიკის შესაბამისად, ვითხოვთ, რომ 11 წლამდე (6 წლიდან 10 წლის ჩათვლით) მოსწავლეებმა ჩვენი შენობა თითოეული გაკვეთილის დასრულების შემდგომ დატოვონ ზრდასრული პირის თანხლებით. ჩვენს წესებსა და პირობებზე თანხმობით, თქვენ თანხმობას აცხადებთ, რომ 11 წლის ზემოთ მყოფმა მოსწავლეებმა მეცადინეობები დატოვონ თანხმლები პირის გარეშე.

ჩვენ არ ვართ პასუხისმგებელნი ბრიტანეთის საბჭოს შენობაში უყურადღებოდ დატოვებულ ბავშვებზე, საგაკვეთილო პროცესის მიმდინარეობის გარდა.